

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებაში გაერთიანებული იყო 7 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2007 წელს გამოაქვეყნეს (ან იბეჭდება) 7 მონოგრაფია და წიგნი, 2 სახელმძღვანელო და 41 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები:

აკად. გ.გიგაური

„საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური, რეკრეაციულ-ტურისტული მნიშვნელობა და მათში მეურნეობის გაძლიერების საფუძვლები“ (თანაავტორობით; თბილისი, ლ.გამგებლის სახ. „პირველი სტამბა“, 17 ნ. თ.).

განხილულია შემდეგი აქტუალური საკითხები: ტყე და კურორტოლოგია, ტყე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, ტყე და ადამიანის მიერ სითბოს შეგრძნება (ე.წ. ეფექტური ტემპერატურები), ტყის სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციები, ტყე და ჰაერის უანგბადი, ტყე და ჰაერის ნახშირორეანგი, ტყე და ჰაერის მტვერი, ტყის გავლენა გამონაბოლქვი მავნე აირების კონცენტრაციაზე, ტყის ესთეტიკური მნიშვნელობა, ტყე და რეკრეაცია, ტყე და ტურიზმი, ტყის დაცვა (მავნებელი დაავადებებისა, ხანძრებისა, უკანონო ჭრებისა და პირუტყვის არარეგულარული ძოვებისაგან). განხილულია ტყეებში მეურნეობის გაძლიერების საფუძვლები, ტყეების ფუნქციონალური დანიშნულებისა და სამეურნეო დაყოფის თავისებურებები, საკურორტო-რეკრეაციულ ტყეებში მთავარი მერქნიანი სახეობების შერჩევისა და ტყის ბუნებრივი აღდგენა-განხელების დონისძიებები, საკურორტო-რეკრეაციულ ტყე-

ებში ჭრის წესებისა და მერქნით უწყვეტი სარგებლობისა და ოპტიმიზაცია-ეკოლოგიზაციის საკითხების ურთიერთპარმონიზაცია.

აკად. ც.მირცხულავა

1) „ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობა და დამვეღება“ (წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 359 გვ., რუსულ ენაზე).

2) „მიწის ეროზია“ (გამომცემლობა „Nova Science Publications“, აშშ, ინგლისურ ენაზე, იბეჭდება).

აკად. ო.ნათიშვილი

„ღვარცოფების დინამიკის საფუძვლები“ (თანაავტორობით; თბილისი, 213 გვ., რუსულ ენაზე).

განხილულია ღვარცოფების დინამიკასთან, კერძოდ ამ ნაკადების ტალღურ მოძრაობასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა. ღვარცოფის თანაბარი მოძრაობის მოდელი მიღებულია როგორც „სამუშაო აბსტრაქცია“, რაც გამოიყენება ბუნებაში მიმდინარე რეალური პროცესების აღსაწერად არათანაბარი ან ტალღური მოძრაობის სახით. მარტივი პრაქტიკული მაგალითების განხილვით გადმოცემულია ძირითადი იდეები და კვლევის შედეგები, განხორციელებული ღვარცოფული ნაკადების ტალღური მოძრაობის შესწავლისას, რასაც უმრავლეს შემთხვევაში ადგილი აქვს ბუნების მკვეთრად განსხვავებულ პირობებში, მათ შორის, ამ ნაკადების ფორმირებისა და სხვადასხვა სახის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობებზე ზემოქმედების დროს.

აკად.წევრ-ქორ. პ.ნასყიდაშვილი

1) „ხორბლის გენეტიკური და სელექციური მუშაობის ძირითადი მიმართულებები“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, 55 გვ.).

შეჯამებულია საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების ირგვლივ ჩატარებული ბოტანიკური, სისტემატიკური, ფილოგენეტიკური, გენეტიკური და სელექციური მუშაობის შედეგები. დადგენილია თითოეული სახეობის წარმოშობა და აგრეთვე მათი როლი ახალი სახეობებისა და ჯიშების მიღების საქმეში. დასაბუთებულია „პური ჩვენი არსობისა“ – რბილი ხორბლის წარმოშობაში საქართველოს ენდემური სახეობების მონაწილეობა. დასახულია ქართულ ხორბალზე შემდგომი გენეტიკური და სელექციური მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

2) „კაცობრიობის მომავალი პური. ტრიტიკალე“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“, 76 გვ.).

ქართულ ენაზე პირველადაა შეჯამებული ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული ახალი მარცვლეული კულტურის – ტრიტიკალეს შესახებ მსოფლიოში არსებული ლიტერატურული მასალა. ნაჩვენებია ამ კულტურის ირგვლივ საქართველოში ჩატარებული გენეტიკური და სელექციური მუშაობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკულ-სელექციური შედეგები. მიღებულია ტრიტიკალეს ორი ჯიში და მრავალი ახალი სასელექციო საწყისი მასალა. დამუშავებულია „კაცობრიობის მომავალი პურის“ – ტრიტიკალეს წარმოების აგროტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძე

„ბათუმის ბოტანიკური ბადის ხეები და ბუჩქები (ფარულთესლიანები)“ ნაწ. 2 (თანაავტორობით; ბათუმი, რუსულ ენაზე).

ნაშრომში აღწერილია ბათუმის ბოტანიკურ ბადში ინტროდუცირებული ხეები და ბუჩქნარები. გადმოცემულია მათი ინტროდუქციისა და რეინტროდუქციის მოპლე ისტორიული მასალა, აღწერილია შენარჩუნებული

სახეების მდგომარეობა. ნაჩვენებია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუციენტების ბუნებრივი გავრცელების არქ-ალები და ადგილსამყოფელი. ადნიშნულია დეკორატი-ული მებაღეობის, მეტყველეობისა და სოფლის მეურნე-ობისათვის პერსპექტიული სახეები.

ბ) სახელმძღვანელოები

აკად. გ.გიგაური

„დენდროლოგია“, II ნაწ. (თანაავტორობით; გამომ-ცემლობა „პოლიგრაფი“, თბილისი, 322 გვ.).

მოცემულია ფარულთესლოვანი ანუ ფოთლოვანი მერქნიანი ხემცენარეების ძირითადი სახეობების მორ-ფოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკოლოგიური მახასიათებლები, მათი გავრცელების თავისებურებები და მნიშვნე-ლობა. ძირითადად განხილულია ადგილობრივი წარმო-შობისა და აგრეთვე ინტროდუცირებული ხეები და ბუჩქები, რომლებიც უკვე დიდი ხანია საქართველოს დენდროფლორაში დამკვიდრდნენ.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი

„კულტურულ მცენარეთა სელექცია-მეთესლეობა“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფ-ლო-სამეცნიერო უნივერსიტეტი, თბილისი, 19 გვ.).

ნაჩვენებია ძირითად სასოფლო-სამეცნიერო კულ-ტურათა სელექცია-მეთესლეობაში საკურსო სამუშაო-ების შესრულების მეთოდიკა და მოცემულია საკითხთა ჩემონათვალი საკურსოს შესასრულებლად.

გ) სტატიები

აკად. ც.მირცხულავა

„მეწყრული გამოვლინებებით ფერდობების მო-წყვლადობის შეფასება და პროგნოზი“ (Ж. „Инженерная экология“, №6, რუსულ ენაზე).

აკად. თ.ნათიშვილი

1) „დვარცოფული ნაკადის მოძრაობა გამოტანის კონუსზე“ (თანაავტორობით; მდინარის სედიმენტაციის მე-10 საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, მოსკოვი, 267-270, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია ბმული დვარცოფის პიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდიკა გამოზიდვის კონუსზე მოძრაობისა და გაჩერების შემთხვევაში.

2) „დვარცოფგამტარ ნაგებობათა პიდრავლიკური გაანგარიშება“ (თანაავტორობით; მდინარის სედიმენტაციის მე-10 საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, მოსკოვი, 263-267, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია დვარცოფგამტარ ნაგებობათა პიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდიკა ნაკადის არანიუტონური ბუნების გათვალისწინებით.

3) „დვარცოფული ნაკადების ტალღური მოძრაობა“ (თანაავტორობით; მდინარის სედიმენტაციის მე-10 საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, მოსკოვი, 270-275, ინგლისურ ენაზე).

განხილულია დვარცოფში სხვადასხვა ფორმის ტალღების შესაძლო წარმოქმნის პროგნოზირების შემთხვევები და შემოთავაზებულია წარმოქმნილი ტალღის შესაბამისი პიდრავლიკური პარამეტრების დადგენის მეთოდიკა.

4) „დვარცოფული ნაკადით დიდი გაბარიტების მქონე კლდის ნამსხვრევის გადაადგილების მეთოდიკა“ (თანაავტორობით; Ж. „Метеорология и гидрология“, მოსკოვი, რუსულ ენაზე, იბეჭდება).

შემოთავაზებულია დვარცოფის მიერ დიდი გაბარიტების მქონე კლდის ნამსხვრევის გადაადგილების სიჩქარის დასადგენი განტოლება და განსაზღვრულია მისი გამოტანის კონუსზე გაჩერების ადგილმდებარეობა.

5) „დვარცოფის სადინარის გასწვრივ ცვლადი მასით მოძრაობის ერთგანზომილებიანი განტოლება და ზოგი-

ერთი კერძო ამონასსნი“ (თანაავტორობით; ჟ. „Метеорология и гидрология“, მოსკოვი, რუსულ ენაზე, იბეჭდება).

თეორიული გზით, ენერგეტიკის პრინციპზე დაყრდნობით, მიღებულია ცვლადი მასით დვარცოფის მობრაობის ჰიდრავლიკური განტოლებები, რაც იძლევა დღემდე ამოუხსნელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის აღგორითმების მოძებნის საშუალებას როგორც პრიზმატული, ასევე არაპრიზმატული კალაპოტის მქონე სადინარებისათვის.

6) „დვარცოფული ნაკადის მიერ გადალახული წინაღობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა“ (თანაავტორობით; ჟ. „Гидрологическое строительство“, №6, 2008 წ., მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია დამოკიდებულებანი, რომლებიც იძლევიან საშუალებას, განისაზღვროს ვერტიკალურად განლაგებული დვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა ის მაქსიმალური სიმაღლე, რომლის გადალახვაც შეუძლია ამ ტიპის ნაკადებს ზედა ბიეფში უკუტალდისა და შეტბორების წირის წარმოშობის გარეშე.

7) „დვარცოფული ნაკადის უკუტალდის სიმაღლის გაანგარიშება დვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობაზე მისი ზემოქმედებისას“ (თანაავტორობით; ჟ. „Экологические системы и приборы“, №3, 2008 წ., რუსულ ენაზე).

რეკომენდებულია უკუტალდის სიჩქარისა და სიმაღლის საანგარიშო განტოლებები, რაც იძლევა საშუალებას ეკოლოგიური თვალსაზრისით არ მოხდეს გარემოს სტაბილურობის დარღვევა, როდესაც კალაპოტში აშენებულია ვერტიკალური დვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა.

8) „მცენარე ვეტივერის ნატანდამჭერიანობის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრომები, №63, თბილისი, რუსულ ენაზე).

საველე დაკვირვებების საფუძველზე დადგენილია ბალახოვანი მცენარის ვეტივერის ნატანდამჭერიანობა განსხვავებული ქანობიანი უბნებისათვის.

9) „გარემოზე დვარცოფული ნაკადების ზღვრული დასაშვები ზემოქმედების შეფასება“ (თანაავტორობით; საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრომები, №63, თბილისი).

შეფასებულია გარემოზე დვარცოფული ნაკადის ზღვრული დასაშვები ზემოქმედება კერძო შემთხვევებისათვის (მაგალითების განხილვით).

10) „ტალღები დვარცოფულ ნაკადებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 66-69, ინგლისურ ენაზე).

ბმული დვარცოფი წარმოდგენილია კვაზიკონტინუმის ფორმით. ტალღური მოვლენები განხილულია ერთგანზომილების გარემოში. უწყვადლება გამახვილებულია ტალღების გრძელი უწყვეტი, ნახტომისებური, მონოკლინური სახით გადაადგილების პროცესებზე. გაანალიზებულია ნაკადის მძაფრი თანაბარი სიჩქარით მოძრაობის მდგრადობები დიდი ქანობის მქონე კალაპოტებში. გათვალისწინებულია დაწნევიან ნაგებობებში უდაწნევო ნაკადის შესვლისას ტალღის წარმოქმნის შესაძლებლობა.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი

1) „რბილი ხორბლის ჯიშების განლაგება ზონებისა და ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 15-19).

ნაშრომი პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც დასაბუთებულია, რომ საშემოდგომო ხორბლის ერთი ჯიშისაგან, გენეტიკურად როგორი ძვირფასი კომპლექსური სამურნეო ნიშნებითაც არ უნდა იყოს იგი დეტერმინირებული, ყოველთვის ვერ მიიღება მაღალი, მით უფრო სტაბილური მოსავალი, მუდმივად

ცვალებადი გარემო პირობების გავლენის გამო. ამიტომ მოსავლიანობის სტაბილური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ფართო ადაპტაციის მქონე ჯიშების განსხვავებული ასორტიმენტის შექმნით, რაც უზრუნველყოფს მაღალი მოსავლის მიღებასა და მის სტაბილურობას. გაკეთებულია დასკვნა, რომ სოფლის მეურნეობა უნდა გადავიდეს ერთჯიშიანობიდან მრავალი ჯიშის თესვაზე.

2) „გადავარჩინოთ გაქრობის პირას მისული საქართველოს ხორბალი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 123-127).

ნაჩვენებია, რომ სუბიექტური თუ თბიექტური მიზუნების გამო საქართველოს ხორბალი განიდევნა წარმოებიდან და, ამავე დროს, ქრება მისი საკოლექციო ნათესებიც. ამიტომ პირველი რიგის ამოცანად უნდა იქცეს ქართული ხორბლის ოქროს ფონდის აღდგენა.

3) „საქართველოს მეთესლეობის წარსული, აწმუოდა მომავალი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 128-131).

ნაჩვენებია მეთესლეობის, როგორც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანების დარგის, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი განვითარების ეტაპები, ორგანიზაციული მდგრამარეობა წარსულსა და აწმუოში. ჩამოყალიბებულია მომავალში მისი წარმართვის შესაძლებელი ფორმა.

4) „ტრიტიკალეს პიბრიდების სიცოცხლისუნარიანობის და ოდენობრივი ნიშნების მემკვიდრეობა“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 133-135, რუსულ ენაზე).

აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ზონის პირობებში პირველად იქნა შესწავლილი ხორბლისა

და ტრიტიკალეს შეჯვარებით მიღებული პიბრიდული (F₀) მარცვლების აღმოცენებისა და პირველი თაობის მცენარეთა გამოზამთრებისა და გადარჩენის უნარიანობა. დადგენილია მცენარის სიმაღლის, პროდუქტიული ბარტყობის, თავთავის სიგრძის, თავთავში მარცვლების რიცხვის, ერთი თავთავისა და 1000 მარცვლის მასის და ერთი მცენარის მარცვლის მასის მემკვიდრეობის ხასიათი, მეორე და შემდგომ თაობებში დათიშვის თავისებურებანი.

5) „საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების როლი ხორბლის გვარის ევოლუციასა და მსოფლიო სელექციაში“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 136-143, რუსულ ენაზე).

მრავალი წლის განმავლობაში გაწეული გენეტიკური და სელექციური მუშაობის შედეგად მიღებული მასალის საფუძველზე სრულადაა დასაბუთებული ის ფაქტი, რომ საქართველოს ხორბლის უნიკალურმა ენდემურმა სახეობებმა და აბორიგენულმა ჯიშ-პოპულაციებმა უდიდესი როლი შეასრულეს ხორბლის გვარის ევოლუციაში. მათ საფუძველზე მიღებულია ხორბლის 8 ახალი სახეობა, შეიქმნა მრავალი სახესხვაობა. ნაჩვენებია, რომ ქართული ხორბლის ენდემური სახეობების ბაზაზე შეიქმნა საწარმოო მნიშვნელობის მრავალი ჯიში და სრულიად ახალი სახელექციო საწყისი მასალა.

6) „ტრიტიკალესა და რბილი ხორბლის შეჯვარებით ახალი სახელექციო საწყისი მასალის მიღება ტრიტიკალეს და ხორბლის სელექციისათვის“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 144-146, რუსულ ენაზე).

ტრიტიკალება და ხორბლის შეჯვარებით, ახალი სასელექციო საწყისი მასალის მისაღებად, პირველადაა გამოყენებული მექსიკური სელექციის ტრიტიკალეს სა-ადრეო ფორმები და დადგენილია, რომ საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენულ ჯიშებთან ამ ფორმების შეჯვარებით მიიღება ძვირფასი საწყისი მასალა ხორბლისა და ტრიტიკალეს შემდგომი სელექციისათვის.

7) „საქართველოს პირობებში ტრიტიკალეს ჯიშნიმუშების შესწავლის საკითხისათვის“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 147-148, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ტრიტიკალეს მსოფლიო გენოფონდის ჯიშ-ნიმუშების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად გამორჩეულია როგორც სამარცვლედ, ასევე საკვებად ვარგისი ისეთი ჯიშ-ნიმუშები, რომელთა მცენარის სიმაღლე არ აღემატება 95 სმ-ს. თავთავის გამორჩეულ ნიმუშებში მარცვლების რიცხვი იცვლებოდა 52-დან 55-ის ფარგლებში, ხოლო ერთი თავთავის მარცვლის მასა ზოგიერთ ნიმუშში აღემატებოდა 68 გრამს და ახასიათებდა დაავადებებისადმი გამძლეობა. ყველა ნიმუში ძვირფას სასელექციო საწყის მასალას წარმოადგენს.

8) „ტრიტიკალეს ჯიშ-ნიმუშების შესწავლის შედეგები“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 149-150, რუსულ ენაზე).

მუხრან-საგურამოს პირობებში ნაჩვენებია ჰექსაპლოიდური და ოქტაპლოიდური ტრიტიკალეს მსოფლიო კოლექციის ჯიშ-ნიმუშების, ფენოფაზების ხანგრძლივობა, მცენარის სიმაღლე, ჩატოლისადმი გამძლეობა, მცენარეთა პროდუქტიულობა, დამტვერიანების რეჟიმის გავლენა თავთავის ფერტილობაზე, თვითფერ-

ტილობის დონე, ინბრიდინგისა და კროსბრიდინგის გავლენა მცენარის პროდუქტიულობაზე.

9) „ოსპისა და მუხუდოს სელექციის საკითხო-სათვის“ (თანააგტორობით; საქართველოს სოფლის მე-ურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 154-156).

ნაჩვენებია, რომ სამარცვლე პარკოსნებს შორის ოსპი და მუხუდო ძირფასი კულტურებია როგორც სასურსათოდ, ასევე მეცხოველეობაში საკვებად. ისინი მნიშვნელოვანი კულტურებია აგრეთვე აგროტექნო-ლოგიური თვალსაზრისითაც. მიუხედავად ამისა, ოსპი და მუხუდო საქართველოში გადაშენების პირასაა მი-სული. ისინი მივიწყებულ კულტურებად იქცა როგორც წარმოებისათვის, ასევე მეცნიერული სელექციისათვის. ბოლო პერიოდში ამ კულტურებზე ჩატარებული წარ-მატებული სელექციური მუშაობის შედეგად მიღებუ-ლია ოსპის ორი და მუხუდოს ორი ახალი ჯიში. მათგან ორი დარაიონდა და ორი ახალი ჯიში მზად-დება დასარაიონებლად.

10) „ხორბლის სხვა ტეტრაპლოიდურ კულტურულ სახეობებთან მარტივთავთავიანი ტურგიდუმის (T. Turgidum L.) შეჯვარებით მიღებული სახეობათაშორისი ჰიბ-რიდების შესწავლის შედეგები“ (თანააგტორობით; სა-ქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სა-მეცნიერო შრომათა კრებული „აგრარულ მეცნიერე-ბათა პრობლემები“, XL, 5-8).

ნაჩვენებია, რომ ხორბლის გვარში შემავალი A და B გენომიანი კულტურული ტეტრაპლოიდური სახე-ობები ერთმანეთს ადგილად უჯვარდება და მიიღება ჰიბრიდული მარცვლების გამონასკვის მაღალი პრო-ცენტული ოდენობა (53,3-79,6%). მათ ახასიათებს აღმო-ცენების და გადარჩენის მაღალი უნარი და ფერტი-ლობის დონით უთანაბრდება მშობლიურ ფორმებს, ხოლო ფენოტიპის მიხედვით იკავებს შუალედურ

მდგომარეობას. მეორე თაობაში ხორბალ ქართლი-კუმისა და პოლონიკუმის ნიშნებს აკონტროლებს პოლიმერული გენები, ხოლო ტურგიდუმისა და დურუმის ნიშნების მემკვიდრეობა რეცესიული ტიპისაა. F₂-F₃ თაობაში გამორჩეული იქნა შემდგომი სელექციისათვის ძვირფასი ნიშან-თვისებების მატარებელი საგვარტომო მცენარეები. ჰიბრიდულ პოპულაციაში გამოთხულ სხვა სახეობებს მიკუთვნებული ფორმების განსხვავებულობა გენურია და ამიტომ არ შეიძლება მათი აღიარება დამოუკიდებელ სისტემატიკურ ერთულად.

11) „ხორბლისა და ტრიტიკალეს შეჯვარებით ახალი სასელექციო საწყისი მასალის მიღების საკითხისათვის“ (თანაავტორობით; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XL, 16-18).

დადგენილია, რომ მარცვლეულის ახალი კულტურის – ტრიტიკალეს მექსიკური სელექციის ჰექსაპლოდური ფორმების შეჯვარებით საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენულ და სელექციურ ჯიშებთან მიიღება როგორც ხორბლის, ასევე ტრიტიკალეს სელექციისათვის სრულიად ახალი საწყისი მასალა ხორბლისა და ტრიტიკალეს ინტენსიური ტიპის ჯიშების გამოსაყვანად.

12) „ტრიტიკალეს შეჯვარებისას განაყოფიერების პროცესის სელექციურობის შესწავლის შედეგები“ (თანაავტორობით; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XL, 18-19).

პირველადაა გამოვლენილი, რომ ტრიტიკალეს ფორმები ერთმანეთისაგან გამოირჩევა განაყოფიერებისას ამორჩევის უნარიანობით. ამ უნარის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიური წყვილების შერჩევის საქმეში.

13) „საქართველოს რბილი ხორბლის გენეტიკური რესურსები და მისი სელექციური ღირებულება“ (თანა-ავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სა-მეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრე-ბული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XL, 9-13).

მრავალწლიანი გამოკვლევებით დადგენილია, რომ საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები წარმოადგენს მრავალი ნიშან-თვის სების განმაპირობებელი გენების ბანკს, რომლებიც განსაზ-დვრავენ თანამედროვე ინტენსიური ტიპის ჯიშებისათ-ვის დამახასიათებელი ნიშნებისა და თვისებების განვი-თარებას. ამიტომ პიბრიდიზაციაში მათი გამოყენებით შესაძლებელია ახალი საწყისი მასალის შექმნა მა-დალი და სტაბილურმოსავლიანი ჯიშების მისაღებად.

14) „საქართველოს საშემოდგომო რბილი ხორ-ბლის სელექციაში რთული შეჯვარების გამოყენება“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფ-ლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XXXIX, 5-7).

50 წლის განმავლობაში ჩატარებული, სახეობის-შიდა და სახეობათაშორისი მარტივი და რთული შეჯ-ვარებებით მიღებული მრავალი ასეული პიბრიდული კომბინაციის ყოველმხრივი შესწავლით დადგენილია, რომ საქართველოს საშემოდგომო რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშების საფუძველზე ინტენსიური ტი-პის ჯიშების გამოსაყვანად სელექცია უნდა წარი-მართოს რთული შეჯვარებების გამოყენებით, იმის გამო, რომ მარტივი შეჯვარებით მიღებულ პიბრიდებ-თან შედარებით რთული პიბრიდები ხასიათდება ტრანსგრესიულ ფორმათა წარმოქმნის დიდი უნარით. ამავე დროს მაღალპროდუქტიული პიბრიდული კომბი-ნაციების მისაღებად მდედრობით ფორმად გამოყენე-

ბული უნდა იქნეს მაღალპროდუქტიული მშობლიური ფორმა.

15) „შორეული ჰიბრიდიზაციისას საშემოდგომო მაგარი ხორბლის შეჯვარებადობა, თესლისა და მცენარის სიცოცხლისუნარიანობა“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XXXIX, 10-11).

ნაჩვენებია, რომ საშემოდგომო მაგარი და საშემოდგომო რბილი ხორბლების შეჯვარებისას ადგილი აქვს რეციპროკულ სხვაობას, კერძოდ, ჰირდაპირი შეჯვარებისას (♀ მაგარი ხორბალი) საშუალოდ მიიღება 67,3% ჰიბრიდული მარცვალი, ხოლო შებრუნებული შეჯვარებისას (♀ რბილი ხორბალი) – 46,1%. შეჯვარების წელსვე მსხვილი მარცვლის მიღებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მდედრობითი ფორმა – მაგარი ხორბალი, მაგრამ მათი სიცოცხლისუნარიანობა ორჯერ დაბალია, ვიდრე შებრუნებული შეჯვარებისას. მოკლედეროიანობის განმაპირობებელი სამგენიანი რბილი ხორბლის ფორმის მაგარ ხორბალთან შეჯვარებისას, ჰიბრიდული მარცვლების გამონასკვამ შეადგინა 15,2-18,6%. ამ მოკლედეროიანი ფორმის მაგარი ხორბლის სახეობის F₁ და F₂ მტვრის მარცვლებით დამტვერვისას განაყოფიერება 2-3-ჯერ იზრდება. რბილ ხორბალთან სამგენიანი მაგარი ხორბლის შეჯვარებით შეჯვარებადობის უნარი უფრო იზრდება და უთანაბრდება მაღალმოზარდი ჯიშების უნარს. ამავე დროს დადგენილია ის უნიკალური ფაქტი, რომ ტრიტიკალეს ბირთვში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაგარი ხორბლის ქრომოსომების არსებობა ვერ ცვლის მაგარი ხორბლის ქრომოსომებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ავტონომიურ სახეობრივ მემკვიდრულ თავისებურებას.

16) „რბილი ხორბლის (*T. aestivum* L.) და ტრიტიკალეს (*Triticale*) შეჯვარების შესწავლის შედეგები“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XXXIX, 13-14).

პირველადაა დადგენილი ახალი სასელექციო საწყისი მასალის მიღების საქმეში ოქტაპლოიდური ტრიტიკალური პერსპექტიულობა.

17) „საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების როლი ტრიტიკუმის გვარის ევოლუციასა და სელექციაში“ (თანაავტორობით, Annals of Agrarian Science, Vol. 5, N2, 9-19, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევის შედეგს, სადაც დასაბუთებულია საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების მნიშვნელობა გვარ *Triticum*-ის ევოლუციაში (მიღებულია 8 ახალი სახეობა) და მსოფლიო სელექციაში (შეიქმნა მრავალი ჯიში და ფორმა). ამავე დროს ნაჩვენებია, რომ საქართველო წარმოადგენს როგორც კულტურული ხორბლის მრავალი სახეობის წარმოშობის, ისე იმუნური ხორბლის სამშობლოსაც. სელექციურ მუშაობაში უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ენდემურ სახეობებში მამრობითი სტერილობის განმაპირობებელი გენების აღმოჩენა. საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების გენოტიპში მამრობითი სტერილობისა და ფერტილობის აღმდგენელი გენების აღმოჩენით ხორბლის სელექციაში დაიწყო ახალი ერა ჰიბრიდული ხორბლის შექმნის საქმეში.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძე

1) „აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო“ („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ. I, გამოცემლობა „აჭარა“, ბათუმი).

აჭარის როგორც მრავალფიული პირობები და პავის ტიპების მრავალფეროვნება ქმნის მრავალდარგოვანი მეურნეობების ჩამოყალიბების საშუალებას. მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო აჭარისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობების მკვეთრი ცვალებადობა, რაც განსაზღვრავს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებებს, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ხარისხს, ეკონომიკური განვითარების დონესა და მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

2) „იშვიათი და ქრობადი ეგზოტიკული და მათი კონსერვაციის პრინციპები აჭარის ზღვისპირეთში“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XL).

აჭარის ზღვისპირეთის პერსპექტივული, იშვიათი და ქრობადი ეგზოტიკულის გამრავლების ეფექტური მეთოდების შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია სახეობათა სამი ჯგუფი, რომლებიც მრავლდებიან თესლითა და კალმით, მხოლოდ თესლით, მხოლოდ კალმით.

3) „ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული Hamamelidaceae ოჯახის სახეობათა ადაპტაციის თავისებურებანი“ (თანაავტორობით; კონფერენციის მასალები, „Эдит BB“, მინსკი, ბელორუსია, რუსულ ენაზე).

4) „ადაპტაციის ფიზიოლოგიის საკითხები აჭარის შავიზღვისპირეთის პირობებში“ (თანაავტორობით; კონფერენციის მასალები, „Эдит BB“, მინსკი, ბელორუსია, რუსულ ენაზე).

5) „აგრარულ სექტორში ავამოქმედოთ საბაზრო მექანიზმები“ (თანაავტორობით; სამეცნიერო კონფერენციის „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში“ მასალები, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი).

6) „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელია“ (თანაავტორობით; სამეცნიერო კონფერენციის „აჭარაში გარემოს დაცვის პრობლემები“ მასალები, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი).

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე

1) „საქართველოს ზოგიერთი ნიადაგის გაჭუჭყიანება ^{137}Cs -ით“ (თანაავტორობით; International Congress of ESSC. Book of abstracts, პალეორმო, იტალია, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია საქართველოს მირითადი ნიადაგების გაჭუჭყიანება ^{137}Cs -ით. დადგენილია, რომ ქვეყნის რადიოაქტიური გაჭუჭყიანება უკავშირდება ჩერნობილის კატასტროფას. დასავლეთ საქართველოს ნიადაგები აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგებთან შედარებით გაცილებით მეტადაა გაჭუჭყიანებული;

2) „აჭარა-თრიალეთის ახალგაზრდა ვულკანიზმის ნიადაგური ასპექტები“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XXXIX, 87-89).

განხილულია არსებული მონაცემები ვულკანური ნიადაგების შესახებ და მათი გავრცელების კანონზომიერებანი სამხრეთ საქართველოში. დახასიათებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, მისი ჩრდილო ქვეზონის ახალგაზრდა ვულკანური ცენტრები – ბორჯომი-ბაკურიანი, დაბაძველი, ციხისჯვარი, ტაბაწყური.

3) „ანდოსოლებისა და „ანდიკ“ თვისებების დიაგნოსტიკური კრიტერიუმები“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, XXXIX, 89-91).

აღწერილია ანდოსოლები და „ანდიქ“ თვისებები, რომლებსაც ახასიათებს განსაზღვრული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები.

4) „აღმოსავლეთ საქართველოში თბილისის სამხრეთით მდებარე საირიგაციო რეგიონის ნიადაგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნათესების გაჭუჭყიანება სამთო-მომპოვებელი მრეწველობის ნარჩენებით“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, vol. 5, №3, 11-27, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ მდინარე მაშავერას ველის სარწყავი ნიადაგები გაჭუჭყიანებულია მძიმე ლითონებით – სამთო-მომპოვებელი მრეწველობის ნარჩენებით. შესწავლილია სპილენძის, თუთიისა და კადმიუმის შემცველობა ირიგაციული არხების ნაფენებსა და წყლებში.

5) „მდინარე მაშავერას ხეობაში ნიადაგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნათესების გაჭუჭყიანება ლითონებით“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №3, 97-106, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ მდინარე მაშავერას ველის ნიადაგების გაჭუჭყიანება მძიმე ლითონებით მეტად მაღალია და იცვლება ირიგაციის ხასიათის, ხანგრძლივობისა და მიწათსარგებლობის ტიპის მიხედვით.

6) „ნიადაგის გაჭუჭყიანება მძიმე ლითონებით იმერეთის რეგიონში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 122-130, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია აღმოსავლეთ იმერეთში მძიმე ლითონებით ნიადაგების გაჭუჭყიანების კანონზომიერებანი. განხილული ნიადაგებიდან ყველაზე მეტად გაჭუჭყიანებულია სუბტროპიკული ეწერები და ყვითელ-ყომრალი ნიადაგები.

7) „ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მემცენარეობაში – გადახრა ბიოლოგიური მიწათმოქმედებისკენ“

(თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №4, 112-117, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ცეოლითების ზემოქმედებით მცირდება ნიადაგების მუავიანობა, მიიღწევა ქანგვა-აღდგენითი პოტენციალის გარკვეული ნიშნული, რაც განაპირობებს ნიადაგში განსაკუთრებული მიკრობული პეიზაჟის შექმნას, კერძოდ, გიგანტური ამებების წარმოქმნას, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას და ზრდიან მის ფორმანობას. ამასთან ერთად იზრდება აზოტფიქსატორი მიკრორგანიზმებისა და კოურის ბაქტერიების რიცხვი. ისინი გარდაქმნიან ატმოსფერულ აზოტს აზოტოვან სასუქად. ყოველივე ეს განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას, ზოგ შემთხვევაში მინერალური სასუქების გამოუყენებლად. გარდა ამისა, მინერალური სასუქებისაგან განსხვავებით, ნიადაგში შეგანილი ბუნებრივი ცეოლითები ხასიათდება ხანგრძლივი მოქმედების უნარით, კერძოდ, მათი მოქმედება გრძელდება 2-3 წელს. შესაბამისად, აუცილებელი არაა აღნიშნული სასუქის ყოველწლიური შეტანა ნიადაგში.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების წევრთა მონაწილეობით განმეორებით გამოიცა „აგრარული ლექსიკონი“ 6 ენაზე (შემდგენელი ა.კორახაშვილი, თბილისი, 2007).

განყოფილების 5 წევრი მონაწილეობდა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი ოემების შესრულებაში, მათ შორის 3 იყო ოემის ხელმძღვანელი. განყოფილების ორი წევრი ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტებით დაფინანსებულ 2 პროექტს. განყოფილების 3 წევრი აგრძელებდა მუშაობას 2 უცხოურ საგრანტო პროექტზე.

მოპოვებულია 2 საავტორო მოწმობა ხორბლისა და ლობიოს ახალი ჯიშების გამოყვანაზე.

აკად. გ.გიგაურმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი მნიშვნელობის ორი კონფერენციის მუშაობაში: „თბილისის გამწვანების საკითხები“ და „საქართველოს მთიანეთი და ტურიზმის ინდუსტრია“, აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციების მუშაობაში:

- 1) „კავკასიის რეგიონში პოტენციური საფრთხის ქვეშ მყოფი იშვიათი და გადაშენების საფრთხის პირას მისული მერქნიანი სახეობის ბერეუნების (*Pyrus spp.*) თანამედროვე მდგომარეობა, მათი შენარჩუნებისა და არეალის გაფართოების დონისძიებები“ (ქ.თბილისი)
- 2) „ტყეების დეგრადაცია და გაუტყეურების გამომწვევი მიზეზები; ბიომრავალფეროვნების კონფერენციის პროგრამის განხორციელების თანამედროვე მდგომარეობა; ტყეების სერტიფიცირების პრაქტიკული გამოცდილება“ (ქ.თბილისი).

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძემ მონაწილეობა მიიღო სამ საერთაშორისო კონფერენციაში: 1. 6th annual Knowledge Economy Forum (KEF VI) on „Technology Acquisition and Knowledge Networks“ (ქ.ქმბრიჯი, ინგლისი); 2. Cooperation Biological Research (CBR) Program Review (ქ.გარმიში, გერმანია); 3. TEMPUS Meeting (ქ.ბრიუსელი, ბელგია).

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილმა მოხსენებები წაიკითხა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკარდას“ მიერ „მცენარეთა გენეტიკური რესურსების მართვისა და გამოყენების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შესახებ“ ორჯერ ჩატარებულ სემინარზე და აქტიური მონაწილეობა მიიღო აღნიშნული სემინარის შემაჯამებელი დადგენილების პროექტის მომზადებაში (ქ.თბილისი). აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძემ მონაწილეობა მიიღო 1 საერთაშორისო (ქ.მინსკი) და ქ.ბათუმში ჩატარებულ 2 ადგილობრივი მნიშვნელობის კონფერენციაში.